მტკიცებულებები/ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობის აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება; • იჯარის ხელშეკრულება
შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ვაკლი
ვ. ყუხუშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერთი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლის შენობაში არსებული ოთახებიდან 12 საკლასო ოთახში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, სასწავლო ინვენტარითაა დატვირთული, თუმცა სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს კიდევ 3 ოთახში, აქედან ერთი საკმაოდ დიდი სივრცეა, აქვს 2 კარი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ორ საკლასო ოთახად გადაკეთება. გარდა ამისა, სკოლაში არის სამასწავლებლო, დირექციის ოთახი, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი, კომპიუტერული ოთახი, ბიბლიოთეკა და 52 კვ.მ. სივრცე, რომელიც გამოიყენება სპორტული დარბაზის დანიშნულებით.</p> <p>საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით, სასკოლო დაფებით. კედელზე კიდია დაფები, სასწავლო თვალსაჩინოებები. სკოლას მერხების და სკამების ფლობის დოკუმენტაციით აქვს 381 მერხი და შესაბამისი სკამი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერება; • ხელშეკრულებები საქონლის/სასკოლო ინვენტარის დამზადებისა და შესყიდვის შესახებ; • სასაქონლო ზედნადებები.
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერთი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლას სხვენში აქვს გამოყოფილი მოზრდილი სივრცე (50 კვ.მ.) სპორტული აქტივობებისათვის, სადაც დგას ჩოგბურთის მაგიდა შესაბამისი ინვენტარით, ლეიბები, კეგლის ბურთები, ფრენბურთის</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუტაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	ბადე. ასევე სკოლის ეზოში მოწყობილია მოედანი მწვანე საფარით კალათბურთის ფარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვის დოკუმენტაცია;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მეორე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი. ოთახში მოწყობილია ონკანი ნიჟარით და აქვს ბუნებრივი განიავების საშუალება. სკოლის მფლობელობაშია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული კომპლექტი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება N572-ით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე დამტკიცებულ რეკომენდაციების“ შესაბამისია. აღჭურვილობა განთავსებულია კარადებში, რომლებიც იკეტება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერება • ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლა არის თბილისი ენერჯის, ეპ.ჯორჯიასა და ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის აბონენტი. ამდენად, სკოლას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება ელექტროენერგია, გაზი და წყალი, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებით. სკოლის ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით.</p> <p>შენობაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემა.</p> <p>გარდა ამისა, ელექტროენერგიის მომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლას აქვს გენერატორი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლას ავტონომიური ელექტროენერგიით.</p> <p>სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები: II სართულზე- თანამშრომლებისათვის, I-III სართულებზე კი - 2-2-კაბინიანი გოგონებისა და ვაჟებისათვის.</p> <p>ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოა შექმნილი.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითრები; • ხელშეკრულებები თბილისი ენერჯისთან, ეპ.ჯორჯიასა და ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლაში პირველ სართულზე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე ქართული და არაქართულენოვანი ლიტერატურა-სულ 1188 ერთეული, საიდანაც 276 ერთეული გრიფირებული სახელმძღვანელოა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოები. გეგმაში მითითებული სახელმძღვანელოები ყველა იყო ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში მოქმედებს ქაღალდის, ასევე excel-ის კატალოგი. საიტზე განთავსებულია ლინკი openbiblio-ზე გადასასვლელად. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. ბიბლიოთეკის კარზე გამოკრულია მუშაობის საათები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.</p>
<p>მიტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკის კატალოგები; • სასაქონლო ზედნადებები; • წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. სკოლის მეორე სართულზე არის ადაპტირებული ორი სველი წერტილი-გოგონებისა და ვაჟებისათვის. სკოლას აქვს ლითონის მოძრავ/ასაღები პანდუსები, რომლებითაც შესაძლებელია პირველიდან მეორე სართულზე მოხვედრა.</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	სკოლას მიეცა რჩევა სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების შემთხვევაში, მაქსიმალურად ხელი შეუწყოს და იზრუნოს ადაპტირებული გარემოს კიდევ მეტად განვითარებაზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლის მფლობელობაშია 20 კომპიუტერი. აქედან კომპიუტერების ოთახში განლაგებულია 7 კომპიუტერი, ხოლო დანარჩენი ბიბლიოთეკაში და დირექციის სარგებლობაშია. ყველა კომპიუტერი მუშა მდგომარეობაშია ინტერნეტში ჩართული. სკოლას ასევე შემენილი აქვს 2 ქსეროქსის აპარატი და პროექტორი.</p> <p>ვებგვერდის მისამართია: www.newschool.edu.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სიახლეები, სასკოლო დოკუმენტაცია.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • სკოლის ვებგვერდი; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები-საგადასახადო დავალებები, ჩუქების ხელშეკრულებები; • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
--	--

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმები. შენობა აღჭურვილია სახანძრო კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებით, ცეცხლმაქრებით, რომლებიც ახალი დატენილია. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტი გაგზავნილია სამინისტროში დასამტკიცებლად (26.01/2023).</p> <p><u>სკოლას მიეცა რჩევა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გამომდებლასთან და მისგან დაკვანის მიღებასთან დაკავშირებით.</u></p>
---	--

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები; • ინვოისები ცეცხლმაქრების გადამუხტვაზე. • მიღება-ჩაბარების აქტები ცეცხლმაქრების შეძენაზე.
-------------------------------------	--

შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
------------------	---

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლის შენობის სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც დამზადებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.</p>
---	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ვაკლი
ვ. ყუხუტაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლის შენობის პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში მოწყობილია სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: მაგიდა, სამედიცინო ტახტი, მაცივარი, კარადა საკეტი, პირველადი მოხმარების მედიკამენტებით, შირმა, საკაცე.</p> <p>სკოლას ჰყავს 2 ექიმი. სამედიცინო ოთახის ინვენტარი და ერთ-ერთი ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ (2022 წლის 21 მარტი) მოთხოვნებს.</p> <p>სკოლის ექიმმა წარმოადგინა ბრძანების მიხედვით წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა ჟურნალები.</p> <p><u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ექიმის ოთახში სველი წერტილის დამონტაჟების შესახებ.</u></p> <p><u>აღსანიშნავია, რომ სკოლამ თავის არგუმენტირებულ პოზიციაში (23.02.2023) გამოაგზავა ფოტომალასა, რომელიც ადასტურებს, რომ ექიმის ოთახში უკვე დაამონტაჟა სველი წერტილი.</u></p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა ჟურნალები. სამედიცინო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ვიზუალური დათვალიერება; ექიმის პირადი საქმე
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“. განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლისტერიტორია შემოღობილია კედლით და ჭიშკარი დაკეტილია, რითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება გარეშე პირთა სკოლაში მოხვედრისგან.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები გასაუბრების შედეგები; უსაფრთხო სკოლის მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს</p>	
<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის შიგნით დამონტაჟებულია 5 კამერა, რომლითაც კონტროლდება სამივე სართულის დერეფნები და კიბის უჯრედები. გარეთ დამონტაჟებულია 4 კამერა: ერთი კამერით კონტროლდება სკოლის შენობის უკანა ეზოს შემოსასვლელი, ერთი კამერით - ეზო და მთავარი შესასვლელი - 2 კამერით. ამდენად, სკოლას აკმაყოფილებს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.</p> <p>ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია სპორტულ მოედანზე დამონტაჟებული კამერის ადგილის შეცვლის შესახებ მოედნის ტერიტორიის სრულყოფილი კონტროლის მიზნით. აღნიშნული რეკომენდაცია ვიზიტის დღესვე შესრულდა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დათვალიერება • ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ალწერთი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მათ შორის სკოლის დებულება, სკოლის შინაგანაწესი, ბიბლიოთეკის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა დებულება, პირველადი სამედიცინო დახმარების დებულება, კათედრის დებულება, საქმისწარმოების წესი, თანამშრომელთა შერჩევის წესი, განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა. შემუშავებულია სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები. ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში პროცესები შემუშავებული მექანიზმების მიხედვით მიმდინარეობს.</p> <p>ექსპერტთა მითითებით, სკოლის დებულებასა და შინაგანაწესში ვიზიტის დროს შევიდა გარკვეული ცვლილებები და დამტკიცდა ახალი ვერსიები, ამდენად, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს ახალი დოკუმენტებით.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • სკოლაში შემუშავებული საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ევსელი
ვ. ყუხუტაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 წლის სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები (2021-2027 წ.წ.). გეგმებში წარმოდგენილია სკოლის ხედვა როგორც მატერიალური ბაზის, ინფრასტრუქტურის განვითარების, ასევე მოსწავლეთა სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტში ჩართულობის მხრივ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2028-2029 წლის პროექტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • 2022-2028 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც საქმიანობას წარმართავს წესის შესაბამისი ჟურნალები. ჟურნალები დანომრილი და ზონარგაყრილია, დამოწმებულია დირექტორის ბეჭდითა და ხელმოწერით.</p> <p>ვიზიტის დროს შერჩევითობის პრინციპით შემოწმდა ყველა სარეგისტრაციო ჟურნალი შესაბამისი დოკუმენტაციით და დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება დადგენილი წესით მიმდინარეობს.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • შემოსული და გასული კორესპონდენციების, ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები; • საქმისწარმოების წესი;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



რეკომენდაციები:	
რჩევები:	<ul style="list-style-type: none"> სკოლამ, სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღების შემთხვევაში, მაქსიმალურად ხელს შეუწყოს და იზრუნოს ადაპტირებული გარემოს კიდევ მეტად განვითარებაზე; სკოლამ მიმართოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და მისგან მიიღოს დასკვნა.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	<p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> სტანდარტი დარღვეულია</p>

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>წარმოდგენილი საშტატო განრიგისა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით. სკოლას ჰყავს 31 თანამშრომელი, კერძოდ: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ექიმები, დამლაგებლები, დარაჯი და 23 საგნის მასწავლებელი.</p> <p>აღნიშნული ადამიანური რესურსით შესაძლებელია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელება.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> საშტატო განრიგი; eSchool ბაზა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუტაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



	<ul style="list-style-type: none"> გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	3 მოწვეული
პრაქტიკოსი მასწავლებელი	1
უფროსი მასწავლებელი	18
წამყვანი მასწავლებელი	1
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	<p>მასწავლებლების პირადი საქმეებისა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით მასწავლებლებს უდასტურდებათ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციები. სამივე მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებელს ხელშეკრულებებისა და ცხრილის მიხედვით არ აქვთ 9 საათზე მეტი დატვირთვა. 1 მასწავლებელი, რომელსაც არ აქვს სტატუსი, ასწავლის საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის უსაფრთხოების წესებს. წარმოდგენილი აქვს ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> მასწავლებლების პირადი საქმეები; eSchool ბაზა; ხელშეკრულებები; საკონკურსო დოკუმენტაცია.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი ადწერთი	სკოლის შინაგანაწესის ბოლო ვერსიაში განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. სკოლაში მიღება, წახალისება, სანქციები აღნიშნული რეგულაციით ხდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • თანამშრომელთა შერჩევისა და მიღების წესი; • კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოცემული ბრძანებები და ოქმები; • სკოლის შინაგანაწესი;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი ადწერთი	სკოლის ყველა თანამშრომელთან, როგორც მასწავლებლებთან, ისე ადმინისტრაციულ თუ დამხმარე პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობის დაცვით: განსხვავებულია ხელშეკრულების ტიპები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუტაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომელიც მოიცავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების გზებსა და ამოცანებს. სკოლაში ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარების მენეჯერი, რომლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება. მასწავლებლები ფართოდ იყენებენ ურთიერთდასწრებას კათედრების წევრებს შორის, კათედრებზე განიხილავენ ჩატარებული გაკვეთილების ძლიერ და სუსტ მხარეებს და ხდება რეკომენდაციების მიცემა. აღსანიშნავია, რომ სკოლა ზრუნავს ასევე სხვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, მაგალითად სკოლის ბიბლიოთეკარმა გაიარა შესაბამისი სერტიფიცირებული ტრენინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებით • გასაუბრება.
შეფასება:	<input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია <input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წ. ვაკლი
ვ. ყუხუძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



<p>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>	<p>სასკოლო საზოგადოების ინტერვიურებით გამოვლინდა, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი და კოლეგიალური გარემო. სკოლა მასწავლებლებს, მოსწავლეს, მშობელს და სკოლაში დასაქმებულს ყველა პერსონალს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ კულტურას სთავაზობს. თითოეულ მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი, შეხედულებები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს თვითრეალიზაციის, სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიურებით სასკოლო საზოგადოებასთან
<p>შეფასება:</p>	<p><input checked="" type="checkbox"/> ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> ქვესტანდარტი დარღვეულია</p>

<p>რეკომენდაციები:</p>	<p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p>	<p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>ხარვეზები:</p>	<p>ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში</p>
<p>სტანდარტის შეფასება</p>	<p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input checked="" type="checkbox"/> სტანდარტი დაკმაყოფილებულია</p> <p><input type="checkbox"/> სტანდარტი დარღვეულია</p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუტაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----



- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი
24 თებერვალი 2023 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ვაკლი
ვ. ყუხუტაძე

39

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----

ბ.ა.